ქართული საზოგადოებრივი კლუბის წესდება.

I.

კლუბის მიზნები და ამოცანები.

§-1. ქართული საზოგადოებრივი კლუბი არსდება ქ. ტფილისში იმ მიზნით, რომ :

ა/ შეკავშიროს ქართული საზოგადოება კულტურული და ეკონომიური კითხვების გარშემო სამოქმედოდ ამ საკითხების შესწავლისა და გამორკვევისათვის და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიურად და კულტურულად აღორძინებაში საჭიროდ მონაწილეობის მისაღებად.

ბ/ დააკმაყოფილოს კლუბის წევრთა და მათი ოჯახის წევრების კულტურული მოთხოვნილებანი სასარგებლო გართობისა და დასვენების მიღების საფუძველზე: -

§-2. კლუბის დამაარსებელნი არიან :

II.

კლუბის უფლებები და მოქმედების ფორმები.

§-3. დასახულ ამოცანათა განსახორციელებლად კლუბს უფლება აქვს :

ა/ მოაწყოს ლექციები, მოხსენებები, კითხვები და საუბრები საზოგადოებრივ, ეკონომიურ, კულტურულ, ხელოვნების და ლიტერატურულ საკითხებზე;

ბ/ გამართოს სპექტაკლები, კონცერტები ლიტერატურული და მუსიკალური საღამოები, ლიტერატურული გასამარჯვებანი და სხვა;

გ/ გამოსცეს პერიოდული გამოცემანი და კრებულები;

დ/ გახსნას და მოაწყოს ბიბლიოთეკა და სამკითხველო;

ე/ მოაწყოს ჯანსაღი დასვენება და გონიერი გასართობები კლუბის წევრთა და მათი ოჯახებისათვის, რისთვისაც კლუბს შეუძლია იქონიოს ბუფეტი, სათამაშოები, როგორიც არის ჭადრაკი, ბილიარდი და სხვა და აგრეთვე მოაწყოს საოჯახო საღამოები.

§-4. სხვა და სხვა კითხვების შესასწავლად კლუბს შეუძლია დაარსოს შესაფერი ხასიათის წრეები თავისი კომპეტენციის ფარგლებში. ეს წრეები იმუშაებენ გარკვეული გეგმით, რომელსაც ამტკიცებს კლუბის გამოება.

§-5. კლუბი, წესდების დამტკიცების დღიდან, ჩაითვლება იურიდიულ პირად და მას უფლება აქვს, წესდებით გათვალისწინებულ მიზნების ფარგლებში, ყოველი კანონიერი საშუალებით, შეიძინოს და გაასხვისოს ყოველგვარი ქონება, რაც გამორიცხული არ არის ბრუნვიდან, დასდოს აქტი და ხელშეკრულებანი, ისარჩლოს და პასუხი აგოს სასამართლოში თავისი სახელით, გასცეს და მიიღოს თამასუქები და ვალდებულებანი.

§-6. კლუბს აქვს ბეჭედი თავისი სახელწოდებით.

III.

კლუბის შემადგენლობა და მისი წევრებისმოვალეობანი.

§-7. კლუბის წევრად შეიძლება იყოს საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის ყოველი სრულწლოვანი მოქალაქე ორივე სქესისა, როგორც წევრნი პროფკავშირებისა, ისე არა წევრნიც.

SOVLAB

§-8. ყველა, ვისაც სურს გახდეს კლუბის წევრად, მოვალეა შეიტანოს შესაფერი განცხადება კლუბის გამგეობის სახელზე და წარადგინოს შესასვლელი გადასახადი და კლუბის ორი წევრის რეკომენდაცია.

§-9. კლუბის წევრად მსურველთა ჩარიცხვა ხდება გამგეობის სხდომაზე ფარული კენჭის ყრით ხმის უმრავლესობით.

§-10. თუ რომელიმე მსურველთაგანი არ იქნა წევრად ჩარიცხული, მას დაუყოვნებლივ უბრუნდება შეტანილი შესასვლელი გადასახადი.

§-11. ყოველი წევრი კლუბისა მოვალეა დადგენილ დროზე შეიტანოს დაწესებული შესასვლელი და საწევრო გადასახადი. გამგეობას უფლება აქვს უმუშევრობის დროს წევრი გაანთავისუფლოს საწევრო გადასახადისაგან.

§-12. თუ ვინიცობაა წევრი გამოირიცხა კლუბიდან, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს ეს გამორიცხვა, მას საწევრო და შესასვლელი გადასახადი არ დაუბრუნდება.

§-13. კლუბის ყოველი წევრი კლუბის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს და ასრულებს წესდების მიერ დაკისრებულ მოვალეობებს, საერთო კრებისა და კლუბის ხელმძღვანელ ორგანოების დადგენილებებს.

§-14. კლუბის წევრობიდან გამორიცხვა ხდება: ა/ იმ შემთხვევაში, თუ კლუბის წევრმა საზოგადოების რაიმე საწინააღმდეგო საქციელი ჩაიდინა; ბ/ თუ სამჯერ გაფრთხილების შემდეგ მაინც არ შეიტანა ხვედრი საწევრო გადასახადი; გ/ იმ შემთხვევაში, თუ არ დაემორჩილა წესდების მოთხოვნილებებს და ელემენტარულ ამხანაგურ დისციპლინას.

§-15. პირადი სურვილით კლუბის წევრობიდან გასვლა შეიძლება კლუბის გამგეობაში წერილობითი განცხადების შეტანით.

§-16. საკითხს კლუბის წევრის გამორიცხვის შესახებ სწყვეტს კლუბის წევრთა საერთო კრება ფარული კენჭის ყრით დამსწრეთა 2/3 ხმის უმრავლესობით. კლუბის გამგეობას შეუძლია აუკრძალოს საკლუბო მუშაობაში მონაწილეობა იმ წევრებს, რომელთა გამორიცხვის შესახებ დასმულია საკითხი, მანამ-

SOVLAB

კუთვნილება და ქონება.- მოქმედების გახსნა.

§-17. კლუბის საშუალებას შეადგენს:

ა/ საწევრო და შესასვლელი გადასახადები;

ბ/ სუბსიდიები და დახმარებანი სახელმწიფო და საზოგადო ორგანოებისაგან;

გ/ შემოწირულებანი;

დ/ სპეციალური გადასახადები კლუბის წევრებისაგან საზოგადო კრების დადგენილებით დაწესებული; და

ე/ შემოსავალი კლუბის გასართობებიდან, საღამოებიდან, სათამაშოებიდან, ბუფეტიდან და სხვა შემოსავალი; რაიც აღმოჩნდება მის განკარგულებაში;

§-18. შესასვლელი და საწევრო გადასახადის რაოდენობას აწესებს კლუბის წევრთა საერთო კრება;

§-19. ამა წესდების დამტკიცების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში უნდა მოწვეულ იქნეს კლუბის დამფუძნებელი კრება, რომელსაც შეადგენენ ამა წესდებაზე ხელის მომწერი დამფუძნებელნი.

დამფუძნებელთა კრებას უფლება აქვს მიიღოს კლუბის ახალი წევრები კრების მუშაობის გაგრძელებამდის და დაუშვას ისინი კრებაზე გადამწყვეტი ხმით.

§-20. კლუბის დამფუძნებელი კრება მოისმენს დამტკიცებულ წესდებას, აირჩევს გამგეობას და სარევიზიო კომისიას და გადასწყვეტს ყველა საკითხებს, რომელიც მის წინაშე დაისმება.

V.

კლუბის მმართველი ორგანოები.

§-21. კლუბის საქმეებს განაგებენ :

ა/ კლუბის წევრთა საერთო კრება,

ბ/ გამგეობა და

გ/ სარევიზიო კომისია.

SOVLAB

ა/ საერთო კრება.

§-22. კლუბის წევრთა საერთო კრება არის ჩვეულებრივი და საგანგებო. ჩვეულებრივ კრებას იწვევს გამგეობა პერიოდულად ოვით საერთო კრების მიერ დანიშნულ ვადებზე.

საგანგებო კრებას იწვევს გამგეობა ან თავისი შეხედულობით, ან სარევიზიო კომისიის მოთხოვნით, ან და როდესაც ამას წერილობით მოითხოვენ კლუბის წევრნი, რომელნიც წარმოადგენენ წევრთა რიცხვის ერთ მეათედს მაინც. ამ შემთხვევაში გამგეობა მოვალეა ორი კვირის განმავლობაში მოიყვანოს სისრულეში საგანგებო კრების მოწვევა, წინააღმდეგ შემთხვევაში საერთო კრებას მოიწვევს სარევიზიო კომისია.

§-23. საერთო კრება, თანახმად ამა წესდებისა, გადასწყვეტს ყველა საკითხებს, რომელიც შეეხება კრების საქმეებს, მაგრამ საერთო კრების აუცილებელ განხილვას მოითხოვს შემდეგი საქმეები:

ა/განხილვა და დამტკიცება კლუბის პერიოდული ანგარიშებისა, შემოსავალ-გასავლისა და ბალანსისა; მომავალი დროის ხარჯთ-აღრიცხვისა და მოქმედების გეგმისა;

ბ/არჩევა და გადაყენება გამგეობისა, სარევიზიო კომისიისა და საარბიტრაციო კომისიის წევრებისა და მათი გასამჯელოს განსაზღვრა;

გ/დამტკიცება და შეცვლა ინსტრუქციებისა გამგეობისა და სარევიზიო კომისიისათვის;

დ/კლუბის წესდების შეცვლა;

ე/შეძენა კლუბისათვის შენობათა და კლუბის კუთვნილ შენობათა გასხვისება, იპარით გაცემა და დაგირავება;

ვ/საწევრო და შესასვლელი გადასახადის დაწესება;

ზ/კლუბის თავისუფალი თანხების მოხმარება და გაცემა და თ/კლუბის დიკვიდაცია.-

§-24. საერთო კრებაზე ყველა საკითხები გადასწყდება ხმის მარტივი უმრავლესობით, გარდა "ე" და "თ" პუნქტებში აღნიშნული საკითხებისა, რომელთა გადასაწყვეტად საჭიროა დამსწრე წევრთა ორი მესამედის ხმა.

კლუბის ყოველ წევრს აქვს მხოლოდ ერთი ხმა.-

SOVLAB

ა/ საერთო კრება.

§-22. კუბის წევრთა საერთო კრება არის ჩვეულებრივი და საგანგებო. ჩვეულებრივ კრებას იწვევს გამგეობა პერიოდულად ორჯერ საერთო კრების მიერ დანიშნულ ვადებზე.

საგანგებო კრებას იწვევს გამგეობა ან თავისი შეხედულობით, ან სარევიზიო კომისიის მოთხოვნით, ან და როდესაც ამას წერილობით მოითხოვენ კუბის წევრნი, რომლებიც წარმოადგენენ წევრთა რიცხვის ერთ მეათედს მაინც. ამ შემთხვევაში გამგეობა მოვალეა ორი კვირის განმავლობაში მოიყვანოს სისრულეში საგანგებო კრების მოწვევა, წინააღმდეგ შემთხვევაში საერთო კრებას მოიწვევს სარევიზიო კომისია.

§-23. საერთო კრება, თანახმად ამა წესდებისა, გადასწყვეტს ყველა საკითხებს, რომლიც შეეხება კრების საქმეებს, მაგრამ საერთო კრების აუცილებელ განხილვას მოითხოვს შემდეგი საქმეები:

ა/განხილვა და დამტკიცება კუბის პერიოდული ანგარიშებისა, შემოსავალ-გასავლისა და ბალანსისა; მომავალი დროის ხარჯთ-აღრიცხვისა და მოქმედების გეგმისა;

ბ/არჩევა და გადაყენება გამგეობისა, სარევიზიო კომისიისა და საარბიტრაჟო კომისიის წევრებისა და მათი კასამჯერის განსაზღვრა;

გ/დამტკიცება და შეცვლა ინსტრუქციებისა გამგეობისა და სარევიზიო კომისიისათვის;

დ/კუბის წესდების შეცვლა;

ე/შეძენა კუბისათვის შენობათა და კუბის კუთვნილ შენობათა გასხვისება, იპარით გაცემა და დაგირავება;

ვ/საწევრო და შესასვლელი გადასახადის დაწესება;

ზ/კუბის თავისუფალი თანხების მოხმარება და გაცემა და თ/კუბის დიკვიდაცია.-

§-24. საერთო კრებაზე ყველა საკითხები გადასწყდება ხმის მარტივი უმრავლესობით, გარდა "დ" და "თ" პუნქტებში აღნიშნული საკითხებისა, რომელთა გადასაწყვეტად საჭიროა დამსწრე წევრთა ორი მესამედის ხმა.

კუბის ყოველ წევრს აქვს მხოლოდ ერთი ხმა.-

SOVLAB

§-25. საერთო კრების დრო და ადგილი უნდა გამოცხადებულ იქნეს ერთი კვირით დრე კრებამდის.

§-26. საერთო კრება კანონიერად ჩაითვლება, თუ კრებაზე გამოცხადდა კლუბის წევრთა ნახევარი მაინც. უკეთუ კრებაზე საჭირო რიცხვი არ გამოცხადდა, მაშინ უნდა მოწვეულ იქნეს მეორე კრება არა უგვიანეს ერთი კვირისა. მეორედ მოწვეული კრება კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად დამსწრე წევრთა რიცხვისა. საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებანი სავალდებულოა ყველა წევრთათვის მიუხედავად იმისა, დაესწრენ თუ არა ისინი კრებას.

§-27. საერთო კრების ყველა დადგენილება შეტანილი უნდა იქნეს ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ: ა/ საერთო კრების თავჯდომარე, ბ/საერთო კრების მდივანი და გ/.კრებაზე დამსწრე ორი წევრი მაინც.-

ბ. გამგეობა.

§-28. კლუბის გამგეობას ირჩევს ფარული კენჭის ყრით კლუბის წევრთა საერთო კრება კლუბის წევრებიდან ერთი წლის ვადით. გამგეობის წევრთა და კანდიდატების რიცხვს განსაზღვრავს თვით საერთო კრება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში გამგეობის წევრთა რიცხვი არ უნდა იყოს ხუთზე ნაკლები.

საერთო კრება დადგენს თავჯდომარისა და სხვა თანამდებობის პირთა არჩევის წესს და რიგს.

§-29. გამგეობა განაგებს კლუბის საქმეებს და არის მისი წარმომადგენელი როგორც სასამართლოში, ისე მთავრობის ორგანოებთან და ყველა სხვა პირებთან ყოველგვარი საქმის გამო. მას უფლება აქვს დასდოს ყოველგვარი გარიგება, რაც შედის კლუბის მოქმედების ფარგლებში, იგი ვალდებულია გაუძღვეს კლუბის ყოველგვარ საქმეებს, ანგარიშ-წარმოებას და ანგარიშგებას და წარუდგინოს ხოლმე საერთო კრებას დაწესებულ ვადებზე კლუბის მოქმედების სრული ანგარიში, ბალანსი და შემოსავალ-გასავალი. თამასუქი და სესხის ვალდებულება, სრული ქმედუნარიანობის ქაღალდი და სხვა ყოველგვარი აქტი უნდა გაიცეს

SOVLAB

§ -30. გამგეობის სხდომები ხდება საჭიროების მიხედვით, მაგრამ წელში ერთხელ მაინც. გამგეობის სხდომებზე საქმეები სწყდება ხმის მარტივი უმრავლესობით, თუ ხმები შუაზე გაიყო, მაშინ საკითხს სწყვეტს თავმჯდომარის ხმა. გამგეობა აწარმოებს თავისი სხდომების ოქმებს და დადგენილებებს ხელს აწერენ ყველა დამსწრე გამგეობის წევრები.

§ -31. კლუბის ყოველდღიური საქმეების უახლოესი გამგებლობისათვის გამგეობას უფლება აქვს დანიშნოს თავისი წრიდან კლუბის გამგე, ან მოიწვიოს ამისათვის გარეშე პირი კლუბის წევრთაგანი, რომელიც იმოქმედებს გამგეობის მიერ მიცემული ინსტრუქციების ფარგლებში.

გ/ სარევიზიო კომისია.

§ -32. კლუბის წევრთა საერთო კრება ყოველწლიურად ირჩევს სამი წევრისა და ორ კანდიდატისაგან შემდგარ სარევიზიო კომისიას, რომელსაც ევალება თავისი ხელმძღვანელობა გაუწიოს საერთო კრების დადგენილებათა განხორციელებას გამგეობის მიერ და გასინჯოს და შეამოწმოს გამგეობის მიერ შედგენილი ანგარიშები და თავისი დასკვნა წარმოუდგინოს იგი საერთო კრებას.

§ -33. სარევიზიო კომისიის წევრად არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც უჭირავს რაიმე თანამდებობა კლუბის გამგეობაში და საქმეებში.

§ -34. სარევიზიო კომისია თავისი მოქმედებისათვის ხელმძღვანელობს ამა წესდების დებულებით და საერთო კრების მიერ მიცემული ინსტრუქციებით. მასვე ევალება წარუდგინოს საერთო კრებას თავისი დასკვნა გამგეობის მიერ შემუშავებული სარჯთ-აღრიცხვისა და მოქმედების გეგმის შესახებ.

VI.

კლუბის ლიკვიდაცია

§ -35. კლუბის მოქმედების და არსებობის ვადა განსაზღვრული არ არის. მისი მოქმედება მოისპობა კლუბის წევრთა საერთო კრების დადგენილებით.

§ -36. კლუბის საქმეთა ლიკვიდაცია შეიძლება დაევალოს გამგეობას, ან და სალიკვიდაციო კომისიას, რომელსაც აირჩევს საერთო კრება შემადგენლობით არა ნაკლებ სამი პირისა.

SOVLAB

საექვიდაციო კომისია, ან გამგეობა აწარმოებს კლუბის საქმეთა ლიკვიდაციას იმ წესით და რიგით, როგორც ამას საერთო კრება დაადგენს და მესამე პირთა პრეტენზიების დაკმაყოფილების შემდეგ, კლუბის დანარჩენ ქონებას მისცემს იმ დანიშნულებას, როგორც ეს საერთო კრებისაგან იქნება ნაჩვენები.-

---